თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 1 ივნისი 2011 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ანდღულაძე	-ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.
კოტე რატიანი	-ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ანდრო მაღლაკელიძე	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	-ქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ.ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, საკონკურსო კომისიის წევრი.
ცისმარდი მაღლაფერიძე	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის მდივანი.

სხდომა გაიმართა ქ. ქუთაისის მერიის სხდომათა დარბაზში (მე–4 სართული, ოთახი №401)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : ქ. ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირზე მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის (არსებული მდგომარეობით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განაცხადი №81 27.05.2011 წ.) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი–2006"–მა.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი–2006"–მა წარმოადგინა საკონკურსო წინადადების ფასი – 3000 (სამიათასი) ლარი.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევის, საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2011 წლის 1 ივნისის 14:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს „კომუნმშენპროექტი–2006"–ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ანდრო მაღლაკელიძემ და ირაკლი გიორგაძემ.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.

შ.პ.ს ,,კომუნმშენპროექტი 2006"–მა მიიღო 39,3 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ – დავით ანდღულაძემ. კომისიის წევრებმა: ნოდარ მიქიაშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს:

1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქ. ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირზე მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაციის (არსებული მდგომარეობით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,კომუნმშენპროექტი–2006".

2. ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის (ა. მაღლაკელიძე) და არქიტექტურის (ვ. მებურიშვილი) სამსახურებმა გამოყონ სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ანდრო მაღლაკელიძე

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის მდივანი:

ცისმარდი მაღლაფერიძე